

სოციალური მეწარმეობა საქართველოში2

სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფციის ფორმის პრეზენტაცია.....2

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „სოციალური მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში“.....3

კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014“.....5

გაიცანით7

სოციალური საწარმო „ფარშევანგი“7

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები.....9

Hult Prize9

სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი10

გაიცანით10

სოციალური საწარმო „San Patrignano“.....10

სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფციის ფორმის პრეზენტაცია

2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა დაიწყო საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობა. ამ წლების განმავლობაში, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების - EPF, ASB მიერ გაცემული გრანტებით დაფუძნდა არაერთი სოციალური საწარმო. შედეგად, დღეისათვის საქართველოში უკვე მნიშვნელოვანი ოდენობის სოციალური საწარმოები ფუნქციონირებენ.



ტერმინი "სოციალური მეწარმეობა" რამდენიმე წლის წინ მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილისთვის იყო ცნობილი, ბოლო პერიოდში კი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ტერმინს ხშირად გადააწყდებით სხვადასხვა სამთავრობო უწყებების თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზნებსა და პროგრამულ პრიორიტეტებში. იმატა სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად გაცემული გრანტების რაოდენობამაც.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ხშირად ხდება ტერმინის განსხვავებულად აღქმა და ინტერპრეტაცია. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც რომ არ არსებობს საკანონმდებლო განმარტება. განსხვავებული ინტერპრეტაციების თავიდან არიდების მიზნით და დაფინანსების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გასაზრდელად ევრაზიის



თანამშრომლობის ფონდისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფცია, რომლის ავტორიც გახლავთ "ცენტრი"-ს ექსპერტ-იურისტი, ლევან ალაფიშვილი.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ორგანიზებით კანონპროექტის კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა სოციალური მეწარმეობის

სამუშაო ჯგუფისთვის, 2014 წლის 30 ივნისს, სასტუმროში Courtyard Marriott. სამუშაო ჯგუფი შედგება სხვადასხვა სამინისტროების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თბილისის მთავრობის წარმომადგენლისგან. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია კანონპროექტის კონცეფციის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ორგანიზებით 14 – 15 ივლისს სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის კონცეფციის პრეზენტაცია მოეწყო

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების წარმომადგენლებისთვის. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სოციალურ მეწარმეებთან ერთად გაიმართა დისკუსია. თითოეულმა მათგანმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება კანონპროექტის კონცეფციასთან დაკავშირებით.

ორივე მხარის, როგორც სამინისტროების, აგრეთვე სოციალური მეწარმეების მოსაზრებების გათვალისწინებით კანონპროექტის კონცეფციაში ავტორი შეიტანს გარკვეულ ცვლილებებს. საბოლოო სახის მიცემის შემდეგ კი დაიწყება ლობირების კამპანია.

ღონისძიებას მასპინძლობდა სოციალური საწარმო კავე – გალერეა "რეას ციყვები".



საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „სოციალური მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში“

5 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10 დღიანი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „სოციალური მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში“ დასრულდა.

პროექტი, რომელიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაცია მდგრადი ეკონომიკისა და მენეჯმენტისთვის oikos Tbilisi-ს მიერ, ითვალისწინებდა უახლესი ევროპული აკადემიური მიღწევების, პოზიტიური გამოცდილების გაზიარებითა და განვითარებადი ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ტრანსფორმაციას, მდგრად ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული სოციალური მეწარმეობის შესახებ. ასევე, საქართველოს სამეწარმეო გარემოსა და სოციალური მეწარმეების პრობლემების გამოვლენასა და ანალიზს.

პროექტი მოიცავდა ლექციებს, ვორქშოპებსა და ქეისებზე მუშაობას. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა 18 ქვეყნის 35 წარმომადგენელი. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ საჯარო ლექციებს და მიეღოთ ცოდნა სოციალური მეწარმეობის სფეროში.



როგორც პროექტის ორგანიზატორმა, oikos Tbilisi-ს პრეზიდენტმა ლევან ფანგანმა განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნულ თემატიკაზე საზაფხულო სკოლის ორგანიზება, ვინაიდან სოციალური მეწარმეობა და მისი პროპაგანდა სწორედ ის თემაა, რომლის განვითარებაც დაეხმარება მოსახლეობის დიდ ნაწილს უმუშევრობის პრობლემის დაძლევაში. როგორც ფანგანმა აღნიშნა, სწორედ სტუდენტებია ის სამიზნე აუდიტორია, ვინც მომავალში უნდა შეძლოს სოციალური მეწარმეობის საფუძველზე ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარება.



საზაფხულო სკოლის განმავლობაში ლექციები წაიკითხეს პიზის უნივერსიტეტის (იტალია), სტოკჰოლმის ეკონომიკის უნივერსიტეტის (შვედეთი), პრადის უნივერსიტეტის (ჩეხეთი), სანტ გალენის ეკონომიკისა და გარემოს დაცვის უნივერსიტეტის ლექტორებმა (შვეიცარია) და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (საქართველო) ექსპერტმა.

ლევან ფანგანის თქმით, პროექტმა ჩანაფიქრი გაამართლა. საზაფხულო სკოლაში წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მასშტაბით სოციალური მეწარმეობის სფეროში გამოკვეთილი ექსპერტები, პროფესორები, რომელთაც საუკეთესო გამოცდილება გაუზიარეს პროექტში მონაწილე სტუდენტებს.

საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი მონაწილე ბორის კიკნაძე ღირებულს უწოდებს აღნიშნულ პროექტს და გამოთქვამს სურვილს მსგავსი ტიპის ღონისძიებების კვლავ ორგანიზების შესახებ „ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანაში საჭიროა სოციალური მეწარმეობის კულტურის ამაღლება. მსგავსი სახის პროექტები შესანიშნავი საშუალებაა ახალგაზრდების განათლების ღონის ამაღლებისთვის. პროექტში მონაწილეობით მე მეტი ინფორმაცია მივიღე საქართველოში არსებული სოციალური საწარმოებისა და მათი პრობლემების შესახებ“ აღნიშნა ბორის კიკნაძემ.



პროექტი ასევე ითვალისწინებდა მონაწილე სტუდენტების სოციალურ საწარმოებში ვიზიტს და მათთვის გარკვეული რეკომენდაციების მიცემას. ერთ-ერთი ასეთი საწარმო, რომელსაც პროექტის მონაწილეები ესტუმრნენ იყო „დამხმარე საშუალებების სოციალური საწარმო“, რომელიც აწარმოებს ეტლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. სტუდენტების ვიზიტი და მათი რეკომენდაციები საწარმოს გამგეობის

თავმჯდომარემ გიორგი ძნელაძემ დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ სტუდენტების მითითებებს აუცილებლად გაითვალისწინებს საწარმოს შემდგომ საქმიანობაში.

პროექტის მხარდამჭერი იყო ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლევან ფანგანის თქმით, oikos Tbilisi კვლავ აპირებს საზაფხულო სკოლის ციკლის გაგრძელებას სოციალური მეწარმეების შესახებ, ამჯერად უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობითა და მონაწილეობით.



კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014“

საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების საქმეში ახალგაზრდების პოტენციალის ინტეგრირებაზე “საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი” 2012 წლიდან აქტიურად მუშაობს და თანამშრომლობს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან. კერძოდ, 2012 წლიდან ეწყობა ყოველწლიური კონკურსი ”სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად”. კონკურსი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციას და სტუდენტების აქტიურ ჩართვას სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში. კონკურსი ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, ასევე ეხმარება ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავებაში, ახალი პრაქტიკული უნარების მიღებაში და ინტერესების სფეროს გაფართოებაში. კონკურსის ორგანიზატორები და განმახორციელებლები არიან “საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი” და “ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი”.

2014 წელს კონკურსში მონაწილეობს თბილისის 4 უნივერსიტეტი, კერძოდ: “კავკასიის უნივერსიტეტი”, “ქართული უნივერსიტეტი”, ”ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი” და “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.” უმაღლესი სასწავლებლების შერჩევა მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება ორ ნომინაციაში, კერძოდ:

1. საუკეთესო ბიზნეს პროექტის განხორციელებისთვის;
2. საუკეთესო ბიზნეს გეგმის შემუშავებისთვის ახალი სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად.

მონაწილე უნივერსიტეტების დაინტერესებული სტუდენტებისთვის სოციალური მეწარმეობის არსის და ქართული საწარმოების საქმიანობის გაცნობის მიზნით მოეწყობა

სემინარები და გაცნობითი ტურები თბილისის სოციალურ საწარმოებში.

თითოეულ უნივერსიტეტში მოეწყობა შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი, რომლის დროსაც დამოუკიდებელი ჟიური შეარჩევს საუკეთესო პროექტებს ორივე ნომინციაში. მომდევნო ეტაპზე, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული გუნდები შეეჯიბრებიან თავიანთ თანატოლებს სხვა უნივერსიტეტებიდან.



კონკურსის დასკვნით ღონისძიებაზე - უნივერსიტეტთაშორის კონკურსზე - შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის პირველ ნომინციაში გამარჯვებული გუნდები წარმოადგენენ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგებს, ჟიურის მიერ შეფასდება მიღწეული შედეგები და მათი შესაბამისობა დასახულ გეგმასთან. საუკეთესოდ შესრულებული პროექტი დაჯილდოვდება.

შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის მეორე ნომინციაში გამარჯვებული გუნდები კი ახალი სოციალური საწარმოების ამუშავების ბიზნეს-პროექტების პრეზენტაციას გააკეთებენ. ჟიური შეარჩევს საუკეთესო ბიზნეს-პროექტს და გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს, რომელიც დაჯილდოვდება. გამარჯვებული გუნდი პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციის "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" დაფინანსებით განახორციელებს სოციალური საწარმოს პროექტს.

კონკურსის მონაწილეებს, აგრეთვე მათ გულშემატკივრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, საგანგებოდ შექმნილი ვებ-გვერდის www.gosocialenterprise.ge მეშვეობით, თვალყური ადევნონ როგორც უშუალოდ კონკურსის მიმდინარეობას, ისე მიიღონ სხვა დამატებითი ინფორმაცია, გაეცნონ სიახლეებს და ა.შ. ვებ-გვერდი იქნება ინტერაქტიული და შესაბამისად, გუნდებს შესაძლებლობა ექნებათ ატვირთონ თავიანთი მონაცემები, შესრულებული დავალებები, ხოლო გულშემატკივრებს და დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ შეაფასონ კონკურსის მონაწილეების მიერ გაწეული საქმიანობა.

სოციალური საწარმო „ფარშევანგი“



სოციალური საწარმო შპს „ფარშევანგი“ შეიქმნა 2012 წელს. საწარმო ამზადებს სხვადასხვა შინაარსის და დიზაინის მისალოც ბარათებს (სახალწლო, ქალთა დღის, საქორწინო, საბავშვო, სხვადასხვა სადღესასწაულო), სასაჩუქრე ყუთებს და მოსაწვევებს.

პროდუქცია მზადდება ხელით, ქვილინგის ტექნიკის გამოყენებით. ქვილინგი ეს არის ქაღალდის კეცვის, დახვევის ხელოვნება. აღნიშნული ტექნიკის უნიკალობაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ყველა დეტალი ინდივიდუალურად მუშავდება ხელით და დაკავშირებულია სიზუსტესა და აკურატულობასთან.

ხელით გაკეთებული სხვადასხვა დეტალები შემდგომ ერთდება და იღებს გარკვეული კომპოზიციის სახეს, რაც მნახველს გულგრილს არ ტოვებს.

თავდაპირველად, ქვილინგის ტექნიკით ხელნაკეთი ბარათების წარმოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ეს მათთვის თერაპიული საშუალება იყო. მოგვიანებით გაჩნდა იდეა ამ ბარათების კომერციული დატვირთვის მიცემისაც. ხელნაკეთი ბარათები სწრაფად გახდა პოპულარული. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის შშმ ბავშვთა დღის ცენტრთან მჭიდროდ ითანამშრომლებდა და ხელნაკეთ პერსონალურ მისალოც ბარათებს და მოსაწვევებს დაამზადებდა.

საწარმოს ხელმძღვანელის ლიკა კილაძის აზრით, ეს იყო ერთ-ერთი ეფექტური გზა შშმ და სოციალურად დაუცველი პირების დასაქმებისთვის, ამიტომაც წარმოების პროცესში ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი პირები ჩაერთვნენ. მოთხოვნასთან ერთად წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი გაფართოვდა და მოგვიანებით მისალოც ბარათებს, სუვენირების დამზადება დაემატა.



საწარმოს სახელი განპირობებულია ფარშევანგის ბუმბულის ფერთა სიმრავლით. ფარშევანგი განსაკუთრებული, ნაირფეროვანი ბუმბულით შემკული ფრინველია. ვინაიდან, სოციალური საწარმო პროდუქციის შესაქმნელად ფერადი ქაღალდების სრულ პალიტრას

იყენებს, საწარმოსთვის შერჩეულ სახელთან სრულ ჰარმონიაში მოდის.

საწარმოს მიზანია ქართველ მომხმარებლებში ხელნაკეთი მისალოცი ბარათების მილოცვის კულტურის განვითარება და სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება და რესოციალიზაცია.



სოციალურ საწარმოში დასაქმებულია 11 ადამიანი, აქედან 4 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (გადადგილების პრობლემის მქონე), 4 სოციალურად დაუცველი და 3 დევნილი.

სოციალური საწარმო 2012 წელს თვეში აწარმოებდა 100 ერთეულ ბარათს. 2014 წლისთვის სოციალური საწარმო ახერხებს თვეში 1500 ცალი ბარათის წარმოებას. თითოეულ დასაქმებულს თვეში 200 ცალი ბარათის დამზადება უწევს.

„ფარშევანგის“ პროდუქციის შექმნა შესაძლებელია - ბიბლუსის, სმარტის, ლიბრას, ორგ სერვისის, პროსპეროს ბუქს, სანტა ესპერანსას მაღაზიათა ქსელში, ასევე თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ინდივიდუალურ მაღაზიებში. საწარმოს ასევე ყავს კორპორატიული კლიენტებიც. მაგ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკები, ბიზნეს კომპანიები, საელჩოები, მუნიციპალიტეტები, სკოლები და სხვა.

სოციალური საწარმო ასევე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის გამოფენებში და პროდუქციის გაყიდვის პარალელურად, პოპულარიზაციას უწევს ხელნაკეთ მისალოც ბარათებსა და მოსაწვევებს.

Hult Prize

ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტის, ბილ კლინტონის გლობალური ინიციატივის ღონისძიებაზე, რომელიც ყოველი წლის სექტემბრის თვეში მასპინძლობს მსოფლიოს ლიდერებს და ცვლილებების ინიციატორებს უკვე მეხუთე წელია ვლინდება ყველაზე მასშტაბური სტუდენტური კონკურსის „Hult Prize“ გამარჯვებული გუნდი.



მიმდინარე წლის საკონკურსო თემა, რომელსაც ყოველწლიურად ბილ კლინტონი ასახელებს, მთელი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტის სტუდენტებისგან ითხოვდა მოემბნათ ღარიბ, მოწყვეტილ ადგილებში მცხოვრები 250 მილიონი ადამიანისთვის ქრონიკული დაავადებების

მკურნალობის გაუმჯობესების გზები, 2019 წლისთვის.

პირველად კონკურსის ისტორიაშია გამარჯვებული გუნდის წევრები არიან ინდოეთის ბიზნეს სკოლის სტუდენტები. მიღებული 1 000 000 \$ გრანტით გამარჯვებული გუნდი შექმნის სოციალურ საწარმოს „NanoHealth Initiative“. სოციალური საწარმოს მეშვეობით შეიქმნება ექიმების, ფარმაცევტების და სპეციალისტების ისეთი გუნდი რომელიც ადგილზე შეძლებს დიაბეტის და ჰიპერტონიის დიაგნოზის დასმას. სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით რომელსაც „Doc-in-Box“ დაარქვს შესაძლებელია დაავადებების საწყის ეტაპზე აღმოჩენა და მისი კონტროლი.

გამარჯვებული გუნდის გამოვლენის და პრიზის გადაცემის შემდეგ, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შემდეგი წლის საკონკურსო თემაც დაასახელა. 2015 წელს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების ამოცანაა შექმნან პროექტები ბავშვებში სკოლამდელი განათლების მიღების პრობლემატიკაზე.

მსოფლიო ლიდერებს შორის რომლებიც ესწრებოდნენ კლინტონის გლობალური ინიციატივის ღონისძიებას იყო საქართველოს პრემიერ მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი.



სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი

სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი არის საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიება რომელიც სოციალურ მეწარმეებს აძლევს საშუალებას შეხვდნენ ერთმანეთს, დაამყარონ საჭირო კავშირები და იმსჯელონ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე. ფორუმი ყოველწლიურად სხვადასხვა კონტინენტს სტუმრობს და უკვე ჩატარდა შოტლანდიაში, ავსტრალიაში, ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, კანადასა და ბრაზილიაში. 2014 წელს ფორუმის ჩატარება სამხრეთ კორეაში, სეულში გადაწყდა.



ფორუმზე დასწრების საშუალება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას რომელიც უკვე მოღვაწეობს სოციალური მეწარმეობის სფეროში ან აქვს სამომავლო ინტერესები. წლიდან წლამდე იზრდება ღონისძიებაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა, რაც ფორუმის განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს.

2014 წელს ფორუმის მთავარი თემაა „სოციალური ცვლილებების მოხდენა სოციალური მეწარმეობის საშუალებით“. განსაკუთრებული ხაზგასმა მოხდება იმ ფაქტზე თუ როგორ არის შესაძლებელი სოციალურ მეწარმეობის მეშვეობით მოგვარდეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა - უმუშევრობა და რა როლს ითამაშებს სოციალური მეწარმეობა სოციალური სარგებლის შექმნის საკითხში. ფორუმზე განიხილება ინოვაციური მოსაზრებები სოციალური მეწარმეობის სფეროს სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის. საბოლოოდ კი შემუშავდება სოციალური ინტეგრაციის სტრატეგია, რომელიც არის მთავარი ასპექტი სოციალური ინოვაციის და სოციალური მეწარმეობის მეშვეობით სოციალური სარგებლის შექმნის საკითხში.

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური საწარმო „San Patrignano“

სოციალური საწარმო „San Patrignano“ არის მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ნარკოდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც დაფუძნდა 1978 წელს, იტალიაში. ცენტრი საკუთარ მომსახურებას სთავაზობს ნებისმიერ ნარკოდამოკიდებულ მამაკაცს ან ქალბატონს აბსოლუტურად უსასყიდლოდ. „San Patrignano“ არ იღებს არანაირ ანაზღაურებას მისი პაციენტებისგან, მათი ოჯახებისგან ან სახელმწიფოსგან.

ცენტრმა დაფუძნებიდან დღემდე 20 000 ნარკოდამოკიდებულ პირს გაუწია მომსახურება. მათი მომსახურება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცენტრში ცხოვრების უფლებას,

ჯანმრთელობაზე ზრუნვას, სწავლებას, ნარკოდამოკიდებულთა ცხოვრების ჩვეულ კალაპოტში დაბრუნებას.

მიმდინარე პერიოდში ცენტრი საკუთარ მომსახურებას სთავაზობს 1700 ნარკოდამოკიდებულ პირს. ცენტრს ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება საკმაო ოდენობის თანხები რის უზრუნველყოფასაც ახდენს სხვადასხვა სახეობის მცირე წარმოების მეშვეობით. შემოსავლების მომტან საქმიანობებს შორის არის სარემონტო - შეკეთების სერვისები, სოფლის მეურნეობის პროდუქტის (ყველი, ღვინო, ზეთი, თაფლი) წარმოება - რეალიზაცია. „San Patrignano“ კარგად არის ცნობილი როგორც ნაციონალური და საერთაშორისო შეჯიბრებისთვის ცხენების და ძაღლების მომთვინიერებელი-მომვლელი. ამ მომსახურებების უშუალო შემსრულებლები არიან



ცენტრის პაციენტები. საწყის ეტაპზე ხდება მათთვის ტრენინგების ჩატარება, ხოლო შემდეგ სამუშაო პროცესებში ჩართვა. აღნიშნული პროდუქტების და მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი საკმარისია მხოლოდ ხარჯების 50%-ის დასაფარად, თანხის დარჩენილი ნაწილის მობილიზება ხდება კერძო დონორებისგან და იმ კომპანიებისგან რომლებიც ხედავენ ცენტრის საქმიანობის სოციალურ შედეგებს.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ცენტრის პაციენტთა 72% პროგრამის დასრულების შემდეგ აღარ დაბრუნებია ნარკო საშუალებების მოხმარებას. კვლევების მიხედვით პაციენტთა 71 % აგრძელებს იმ სფეროში მუშაობას რომელშიც ჩაუტარდა ტრენინგები „San Patrignano“ -ს ცენტრში.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს“